

მუხამბაზი

ნუ მასმევ ღვინოს, დ უღვინოდ ვარ მთვრალ შენის ეშხით, დ
თვარა მიმუხთლებს და წარმოჰსთქვამს ენა ყოველსა,
ესდენ ხან კრძალვით დაფარულსა ღრმად ჩემსა გულსა:
უიმედოსა შენდა მომართ ჩემს სიყვარულსა,
ტანჯვათა, ოხრვათ, იდუმალად მომდინარ ცრემლსა,
ჩემს შესაბრალის გაშმაგებას ცნობათ დაფანტვით...
ნუ მასმევ ღვინოს, დ უღვინოდ ვარ მთვრალ შენის ეშხით:
გულის ურჩისა დასამშვიდად მცირედ გონება
შემრჩომია-ლა და მისიცა გსურს დაბნელება!
მის დასამონად იცი, კმარა შენი შვენება,
ერთი მოხედვა ტრფიალებით, მცირ ყურადღება!
იცი, მარამა თასს კი მამლევე მლიმარეს სახით,
ნუ მასმევ ღვინოს, დ უღვინოდ ვარ მთვრალ შენის ეშხით
რადგან არ იშლი ჩემს საკვდავად შენს სასტიკ სურვილს
და ჯილდოდ ვარდსა მამლევე ოდეს შევსვამ თასს აღვსილს:
მაგ ვარდის ნაცვლად მასუნე ვარდს, შენთ ღაწვთზე გაშლილს,
და მაშინ გინა სიხარულით შევსვამ თვით სიკვდილს!
რათ მინდა ღვინო, თუ ვერ გეტყვი: გეტრფი მთვრალ ეშხით
ნუ მასმევ ღვინოს, უღვინოდ ვარ მთვრალ შენის ეშხით!
ზოგჯერ მლიმარე გიმზერ ოდეს ეშხით აღვსილი,
მრწამს, რომ ღაწვთ ზედა გარდაგვრია ნუშის ყვავილი!
მაშინ მას ზედა დაკონების მკლავს მე სურვილი.
მაშ გინდა მომკლა, გეტყვი, თმენის არღა მაქვს ძალა,
ისმინე, ვდნები, ცნობა არ მაქვს, ვგიჟდები ეშხით.
ნუ მასმევ ღვინოს, უღვინოდ ვარ მთვრალ შენის ეშხით.